თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

39 1916 წ.
რა, ენკენის. 25

ფასი 12 კაპ.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ — წლიურად 5 მ., ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლება ფოსტით: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили. ვიისვის: „სორაპნი“ს სტამბაში.

წელ. მეოთხე გამოცემისა

ქართველ მუსულმანთა — აჭარელთა ბავშვები და მათი მასწავლებელი ქალი მ. კალანდაძე

ოთხი მათგანი ქართულ გიმნაზიაში სწავლობს, ორი — საბაღოსნო სკოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენაქენისთვის 25

იდეურობა თუ შეუგნებლობა?!

ჩვენ-კი, ასეთ მმართველთა გარდა, გვ ყოფს, გვსაქსავს და გვანაწილებს ჩვენი საერთო შეუგნებლობა, სიბნელე და ბარბაროსული წოდებული ვითომდა „იდეურობა“.

და ეს მაშინ, როდესაც დრო და გარემოება ყველა მოწინავე-შეგნებულ პირთა შეკავშირებას, მათს შეთანხმებულ მუშაობას მოითხოვს, —

განსაკუთრებით ჩვენი ხალხის კულტურულად დაწინაურების ასპარეზზე.

დასავლეთ ევროპაში ჩვენდა საბედნიეროდ თეატრი ფეხს იკიდებს, სახალხო სცენა ფესვებს იდგავს და იმის მაგიერ, რომ მისს გამკეთებლებს გულწრფელად შეუწყონ ხელი, საქმის მესვეურნი ამა თუ იმ ჯგუფის ყოყლოჩინანი, არავითარ საშუალებას არ ერიდებიან ურთიერთის დასამხობად...

გეხსომებათ რა ალეზაური ასტეხეს ერთ ნეორის მოწინაღმდეგე ჯგუფებმა დ. სურამს, ახალსენაკს, სამტრედიასა და სხ.

ერთი ჯგუფის „ნიჭიერი“ რეჟისორი და ბსახიობი მეორე ჯგუფისთვის „უნიკო“ და „უვარგისია“, მეორის „მშვენიერ-მხატვრული“ წარმოდგენა პირველისთვის ჯამბაზობაა, — ერთი რომ ძაგებით მიწამდე ასწორებს როკელსამე წარმოდგენას, მის მმართველთ ანუ მსახიობთ, მეორეს იგანივე ცამდე აჰყავს...

ერთ ჯგუფს რომ განსაკუთრებით ეგრედ წოდებული „სოციალური პიესების“ წარმოდგენა დაუსახავს მიზნად და ეროვნულ-ისტორიულ პიესებს გვერდს უხვევს, მეორე წინააღმდეგ სვეს მისდევს.

იმას კი არ დაკიდევენ ასე რა ცალ მხრივობას, რა ეწრო მიგრჯნელობას ამბატონებენ და საქმეს როგორ ბორკავენ...

ასე არის ეგშმარიტებ და ხელოვნების წრფელის გულით, უანგაროდ სამსახური?!

ჯერ კიდევ ბნელი და ამიტომაცაა, რომ ასე უტიფრად დათარეშობენ არა წმინდა „მოღვაწენი“..

ასაცენო ხელოვნებისა და ჩვენი თეატრის ეგშმარიტნო მსახურნო, გულ-გონება განიწმინდეთ, იწამეთ, რომ თქვენ მხოლოდ **ერთი დასი, ერთი დიდი ოჯახი** ხართ, ხალხის სიბნელისა, განუვითარებლობისა და უკან—ჩამორჩენილობის წინააღმდეგ მებრძოლი ხელოვნების ყოველ ფრთაზე.

თქვენ შეერთება, ერთპროვნული მუშაობა გმართებთ და არა დანაწილება!..

თქვენი ვალია ხელოვნების საშუალებით ხალხს უჩვენოთ როგორც მისი სადღეისო, დუხჭირი ცხოვრების ყოველი კუთხე, ისევე ჩაახედოთ მის წარსულში და მით აიძულოთ უკეთესი ცხოვრების ძიებას შეუდგეს.

თქვენი **იდეურობაც** ამაში უნდა გამიხატებოდეს და არა შენჩემურ **შეუგნებლობაში** რამაც ასე ჩამოგვარჩინა და დღესაც გვკარავს..

ბირველი სხივი

(„განათლების“ სემენარია)

„განათლების“ სახლ-ის ქართველ ქალთა სასოსტატო სემენარია, — ეი ცხოველ-მოფენელ მზის ამოსვლის მომასწავებელი ბირველი სხივი, რომელმაც სათბო და სიცხოველ უნდა შეატანოს ჩვენს დახუთულ ერში, კოთიდან ხალხში...

ეროვნულ ნიადაგზე ადზრდილ ქართველი ქალის მნიშვნელობა წარსულში ძლიერი იყო: რომელ ასპარეზზე, არ კინდა რომ არა ბრწყინვალ! ვიდრე იგი ოჯახს დედაბოძად ეკუდა, ჩვენი ერიც ერობდა. ქვეყანა ქვეყანასა ჭკვიდა...

მაგრამ „ქართველ ხ ტატარან **ჩრდილოსმან უცვალა ფერი**“ ჩვენთა ქალთა სწავლა-ადზრდას და მის მწარე ნაყოფსაც ხომ ვხედავთ!—

ფეოდალიტი, ხენტრეული, ერისა და ხალხის ჯერ ვარმის არა მცოდნენი, ბრაქტიკულ ცოდნათა ფეიცი, ოჯახისა და სახოგადოების ურგენი წევრნი,—ეი, უმეტესად ვინ მოგვცა უკუდმარომა სკოდან.

ოჯახი ჩვენი დადუბვის კბეს დაადგა..

კიდევ უფრო უნუგეშო მდგომარეობაშია ჩვენი სახალხო სკოდა, რომელსაც რიგიანი, შეკნებული და ოფიციალური ეკუმარტი მასწავლებელი არა ყოფილ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალ წლის მწარე გაკვეთილმა ქართველ სახოგადოების ერთ მტერე ნაწილს—უმეტესად ქალებს—ბოლოს კისერი მოაბჯენინა და ისეთი სკოლის დაარსება აფიქრებინა, რომელიც უფრო მეტად ესაბერებოდა ჩვენს დაწყლულებულ ქვეყანას.

ეს არის, როგორც ზეგითაც მოგიხსენიეთ, „ანასოდლების“ სახოგადოების სკოლა და მის მიერ დაარსებული ქალთა სემინარია, რომლის კურსებიც სადღესასწაულოდ (ენკენ. 25) დანიშნული.

ქართველ ქალთა მტერე ჯგუფმა არარასაგან დიდ სკანდალურ-ლაბალ სახალხო საქმეს ბაუარა საძირკველი და გამაგლებით მუშაობს ამ საძირკველზე მაგალი კედლების ამოსაყენებად. ქართველი სახოგადოებისა და ქვეყნის უკეთ ბედშეპატეკარის ბალია თანაგრძნობასთან ერთად ნიშიერად თუ სხვაურივად ხელი შეუწყოს მის დამკვიდრებას, რომ ჩვენი სახალხო განათლებისამ ერთად ერთმა სხივმა შალე გაბიობრწყინოს...

ჩვენის მხრით ამ სკოლა-სემინარიის დამფუძნებელთ ბუსურგებთ სრულს წარმატება—გამრჯეებს. . **იოსებ არიმათიელი**

სიმღერა

1

მივალ მთებში,
სვირის მთებში,
და მის გზებში
ჩქარობს
სული;
ფრინველების ნარნარ ხმებში,
წვიმის შხეფში,
ხარობს
გული!

2

მთებო! მთებო!
სვირის მთებო!
კაკლუცებო!
ლამაზებო!—
თქვენ გეტრფით და თქვენ გიმღერით,—
საყვარელნო—საყვარელნო!..

გ ქუჩიშვილი

*) „თ. ც“. წ რსულ ნომერში მოთავსებულ გ. ქურიშვილის ლექსში შეცდომითა სწერია: როგორც მეფრომში მკერდ-ხვიანან **ძუჩაზე** მჯდარი; უნდა იყოს: **ძურაზზე** მჯდარი და სხ.

ქართველი ისრაელეგი

საერთაშორისო ომმა ჩვენ—ქართველებს ერთი დიდი სარგებლობა მოგვიტანა: ეროვნული გამორკვევის გაფართოვება და გაღრმავება.

საკაცობრიო და ეროვნული ისე უნდა იყოს ერთმანერთთან დაკავშირებული, რომ ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგებოდეს, არა ჩრდილავდეს.

ჩვენი ერის განვითარებაში სწორეთ ამგვარი მოვლენა იქერს სპატიო ალაგს და თავს აკაკისთან ერთათ მას შეუძლიან სთქვას:

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე—მთელი ქვეყანა.

საკაცობრიო იდეალების განვითარებამ ჩვენში ერთხანს სრულებით დაჩრდილა ეროვნული, დღეს-კი სიყვარული და ინტერესი ეროვნული საქმისადმი დღითიდღე იზრდება.

ეროვნული გაერთიანება—აი, სხვათა შორის, რა საკითხი წამოაყენა თანამედროვე ომმა

მწარე ისტორიულმა ხვედრმა ქართველი ერი სარწმუნოებრივათ დაჰყო; ამას-კი შედეგათ მოჰყვა ეროვნული მთლიანობის დაკარგვა.

უწინდელს დროში სარწმუნოება ერის შემაერთებელი, ერის შემაკავშირებელი, მთლიანობის შემადუღებელი იყო და სარწმუნოებრივათ დაყოფას შედეგათ მოსდევდა ერის მთლიანობის დარღვევაც.

ქართველებში გაჩნდენ მაჰმადიანები, კათოლიკენი, გრიგორიანები; ქართველი ერი დაკნინდა და სიკვდილის პირას მივიდა.

დღეს-კი თანდათან ფეხს იკიდებს ის ეშმარიტი აზრი, რომ სარწმუნოებრივი სხვა და სხვაობა ეროვნულ მთლიანობას სრულიადაც არ ეწინააღმდეგება; ქართველი ერის სარწმუნოებრივათ სხვა და სხვა ნაწილები ნელ-ნელა უბრუნდებიან თავს ერთად ერთ დედას—საქართველოს და მალე გავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა ხელოვნება

როგორც სავერთოდ ხელოვნების ყველა დარგს, სათეატრო ხელოვნებასაც დიდი გავლენა აქვს მაყურებლებზე.

ერთ ერთ წერილში ხელოვნების ცნობილი მეშაკი ოსკარ უაიდი სწერს: „ხელოვნების საშუალებით ზაზოარში ავადყოფებს ნუშის ხეს, ხოდა იყენიანის პავანაქებაში თოკიდის ფიფქებით მოგვეენ ბბიბინებულ ენებს-“ ო.

მართალია, უაიდის შეხედულებას ხელოვნებაზე—„ხელოვნება ხელოვნებისათვის და არა ცხოვრებისათვის“—ჩვენ ვერ გავიზიარებთ, მაგრამ ისი ეს სიტყვები ჩვენთვის ძვირფასია იმდენად, რავდენადაც ისინი ხელოვნების სიძლიერეს გვიმტკიცებენ. უაიდიც რომ არ დავიხმაროთ, თვითონ ჩვენც ხშირად გავმხდარვართ ხელოვნების გავლენის მოწმენი.

ავიღოთ სათეატრო ხელოვნება. ქრისტეანენ, ანიგოს, მეთრეშვილის, კორეიდის, ქავლეტის, ზეინების, და სხვათა ბევა ნვენში გულწრფელ ტრემლებს იწვევენ, თუ მათ ხელოვნურად კანსაიერებულს ვეთანყოთ სცენაზე. თუ არა და ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად კეკონდა, რომ ამ სახით ხედოვნები შეეკარებოთ? მასთან პროფესიებში მოინტელიგენტო პირების ერთ ნაწილს ცუდი შესვლდობა აქვს დამუშავებული. ჩვენმა კაცმა თუ „ინანა“ ისწავლა, მერე მუშობას არ კაკრულობს და სწორედ ასეთი პირებია პროფესიებში ხედოვნების „ქურუმნი“. ადვილი ასახსნელია, რომ ასეთ „ხედოვნებაზე“ წარმოდგენებს თავშესაქცევი ხასიათი აქვს. ასეთ შემოხვევაში დამსწრეთაგის ერთია, ზურგითაც შექცეული ის სცენისაკენ, თუ სახით: ის დრამ „ატარებს“, ბაასობს ნაგზობებში.

როგორ ებრძვიან ამ მოგდენას ჩვენში? ვნახოთ შემდეგ. **არ. ფანცულაია**

ᲘᲛᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

I

უინცარი საქმე მეირს ამ ხურდა ფულის შემოლეკვის გამო.

იქით პარასკევს სუდში ვიყავი დაბარებული და ბაზარში ჩამეკედი.

ერთი ბრუტიანი სამმანეთიანი ვიგულვე ჯიბეში. ოჯახიდან რაცხა რაცხა სავაკრო დამბარეს და ცოტა მეც ქე დამეირდებოდა სახარჯოთ. აგერ სამი დღეა ქუთეისში ჩამოვრჩი და ამ ჩემი სამმანეთიანის დახურდავება არ იქნა და არა.

ძეგეხსენებათ, სული წმიდა არა ვარ, რომე სამს დღეს ეერითა და წყალით გემეტანა თავი. მერე-კიდო მისთანა ჰაერით, ქუთეისში როა და მისთანა წყალით, ახლა რო რიონია. წმინდა, წყაროს წყალს კი ხანია პირდებიან ამ უბედურ ქუთეისს, მარა ახლა „მოხოულაზეა“ საქმეო. და სანამდი იმ მოხოულას მიმულებს შეიყიდიდენ, ეს საქმე კიდო ბევრჯელ მუუხოვ და მოეხოვს.

ჰო, ერმას მოგეხსენებდოთ— სამმანეთიანი ვერსა დავახურდავეთქვა...

შევედი სასადილოში და სანამდი სუფრას მოუჯდებოდი, დახლიდარმა მკითხა: ფულზე რავა ხარო?—რავა ფულზე-თქვა, მირონი ხარ ჩემი, თუ ახლობელი ვინმე, რო უფულოთ შამოგვიდოდი აქანა თქვა!— არა, ბატონო, ნაშალი ფარა თუ გაქო?—სამმანეთიანი-ეაქ, დაახურდავებ და ნაშალი იქნება-თქვა!—ქალალდის ფული! აჰ, ნურც ამეიღებ ტყუილაო.—რავა ნუ ამეკიღებ თქვა. ალარ ფულობს, თუ მიწუნებ-თქვა?—ხურდა არაა და მაინცმაინც რო დეკიწუნო, ნურც იმაზე დემემდურებიო. მაქ ვექსილიაო. ახლა ოქრო და ვერცხლი ფულობსო.— თუ გინდა, მასე იყოს-თქვა. ვექსილი რავა, ჩვენებური ძმა-ბიეური ვეექსილი გვონია, თუ რავაა შენი საქმე-თქვა: —ხაზინისაა, მიიტან, ოქრო-ვერცხლს გადმოგიყრიან-თქვა.—კი, ბატონო, მიბძანდი ხაზინაშიო და. .—რას მეუნები, კაცო, ქრისტიანი არა ხარ-თქვა, ახლა რო ხაზინაში მისტუმრებ? როდის ეკიმშობ იქიდან თავს, და აგერ რო უყურებ მუცლის აპკი ხარ.ბიმალე მაქ მიკრული.—არა, ბატონო, მაგას ვინ მოგახსენებს, დაბძანდი, მიირთეკ და ხურდის ბოცემას, თქვენზე დავწერო, ის მირჩევნიაო.— დწერე-თქვა.

გამოვისინდი რჯულზე. რაკი დაწერაზე წევიდა საქმე, მადაც მეტი მომაწვა ..

ჩაწერა ჩემზე.

საღამოზე საჩაეში შევედი. იქაც რჯულზე გამეკიკუპრე რძიანი ჩაითა და ბულკის პურებით და ამოვაცოცე ჩემი სამმანეთიანი.— მაგის ხურდაქე სადაა, ბატონო.—აპა, ჩემო ბიძია, რავა ვქნა, რაც შევეპამე მისი დაბრუნება არაფრით არ შემიძლიაო-თქვა.—იყოს თქვენზეო,

ჩ.წერა ჩემზე.

რაფერად შევეჩვიე, ნუყურ ამ ჩაწერას, არ იტყვით იიმეე! სამ დღეს ვეპამე, ვსვი, პატარ-პატარა რაცხა-რაცხეები კიდომაც ვივაკრე და ხვალ დ-ღამ ში გოუდგები გზას კინაპატივები, ნავაკრიე და გოუცეხელი ჩემი ბრუტიანი სამმანეთიანით. და ახლა ასე ვფიქრობ, რომე იმ ჩემ მ.ნისიავებს დოუბრუტი ანდებათ თვალები ჩემს ყურყუტში....

II

ორკლასიანი სამინისტრო შკოლა გავათავე. სახელი მისთანა აქ ამ შკოლას, რომე კაცს გეგონება მინისტრებს ამზადებსო. მინისტარი კი არა, ორი კაკალი ქართული შემასტეკლეს და საკველპურო რუსული ლენჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევედი და ლენჩი გამევედი. ბაბაიას ეგონა მინისტარი გავხდებოდი. სტალინა რო გამეგძელებია, ოჯახს იმის კუდი არ ჰქონდა და ისთვალეს ქუთეისისკენ წამევედი, ეგება რაშე საქმე ვეიჩინო თქვა. რიონის სტანციაზე ჩვენებური ბიკები დამიხვდენ, ნასილჩიკებათ შესულიყენენ: — საშოვარი კაიო დამეც ქე დავრჩი.

ე უბედურობა ომი ქე რო ატყდა, არ გასულა ხუთი-ექვსი თვე, გეგიხედე, ე ჩემი აფხანაკი ბიკები აპელატ გადატყლაპული არ დეიქაჩენიან! ვიპე! რაფერათ, ბიკო-თქვა! — დეევკითხეყე. — რა ფერათო და, მევეშუ დეთ ორასამ თვეში, ჩავაბერეთ ეკზამენია და ჩინიც გეგიკარითო! — აპა, მე თქვენზე მოლაყრუ ვყოფილვარ-თქვა, გეგივლე გუნებაში, ინწაამს მივატუე ნასილჩიკობა, ბარე ცხრაოდე თუმანი ქე მქონდა ნაგულვები, ჩავაბარე ერის სტუდენტ და ოთხ თვეზე ეკზამენიაც ჩავაბარე.

სარაყამიშში ქე რო შეგვიფუცხუნეს, მაშინ დამკოდეს სახო ბარძაყში და პატარათ რავარც მოვჯობინდი, შინისკენ გამოვსწიე. რიონის სტანციას რო მიუახლოდი, გავეკვი ფიქრს, მომაგონდა, გუშინწინ რო აქ ვმუშაობდი. ამ დროს მივაწიეთ კიდიმაც სტანციაზედა — ნასილჩიკ, ნასილჩიკო! — შეიქნა. ყრთი შეეინძერი და უცბათ წავიწიე. მარა მეტკინა ბარძაყი და ამაცდინა საჯაყი!...

III

ერთსა კარგსა და დიდი ხნის უნახავ მეგობარს შევხვდი. იამა, მეც მიამა და მოუსვეთ ქეიფს ხელი. თელი ერთი კვირე არ დავვიტოვებია სქეითოადგილი, თუ სადმე ყოო. პირველში ერთი ორჯერ მეც გეკეკარი ხელი ჯიბეზე, მარა აფხანაკმა დამასტრო — სულ ერთია, შე კაცოო. შერე მეც ქე წოვეუყარუე და სულ ის ხარჯავდა. ბოლოს, ვინ იცის ეგება ქი მოწყინდა, ან და შეიძლება სახარჯოც შამიელია და უკანასკნელი ნახარჯის გადახდა ცოტა შეაგვიანა... გადმამხედა ცალი თვალით და მითხრა: — კაცო, ძმაო, მაგ ჯიბეში მორიალი ხომ არ გიყის, ერთი შენც ჩეიყავი ხელო!...

თომა პუსა,

ვ. გუნიას ავადმოფოფობა

ბარსკვეს, ენკენისოვის 16, ავადმოფი მსახიობი ვახინჯა ექ. ივ. კომარდოვმა. ავადმოფობა ძმიმეა, თუმცა საშიში არა არის რა და ბეჯითი მოვლა-მეკურნალობაა საჭირო. შეორე დღეს, ენკენისოვის 17, ექიმთა ივ. კომარდოვის და შ. მიქელაძის კაბინეტებისაშეორ დანიშნა კონსიდიუმი ივ. კომარდოვის, შ. მიქელაძის, გ. შუხაძეს და ს ვირსაძის მონაწილეობით. რადგან დანიშნულ ვადაზე, კვირას, ექ. ს. ვირსაძე თბილისში აღარ აღმოჩნდა (წინა დღით ქუთაისს წასულიეო), მხოლოდ სამმა ექიმმა გასინჯა ავადმოფი. საკვირო ოფერატეა, მაგრამ ვინაიდან ავადმოფი ძალზე დასუსტებულია (მტერე ხნის განმავლობაში 22 კილ. დაკლებია), ოფერაციის კეკეობა ამ კამად შეუძლოდ იცნეს. ავადმოფის ხელი დასდო ექ ივ. კომარდოვმა, რომელიც ადგილ-სამყოფოთ დაპირეს ავადმოფთან და დიდის მზრუნველობით ჭმეკურნალობას.

საზოგადოება დიდის გულმტკივნეულობით აღეკვნეს თავად-ეუფის ავადმოფის მდგომარეობას. მნახველნი ხშირად დაპირებენ, თვით მდანიო ხალხის წარმომადგენლებიც კი. გასულ კვირას ინახულა ხაშეულ კლეკნთ მხრით კლეკმა ე. ეირმეულაშეიდმა და მადე კაკანსაკდებ ულურვა.

როგორც ვსწერდით, ავადმოფი თავის ბინაზეა (ვერის ხეეში, შესაყალი ვერის დალმრთის მხრით, № 3). ბინად ორი ბატარა, ბერ-დაბალი (იმდენად დაბალია, რომ მაღალი კაცი ძნელად თუ გაიმართება) ოთახი უჭირავს. ერთ ოთახში, ავადმოფთან ერთად, ხეთი თუ ექვსი საოფალია (თვით ავადმოფის ტოდეშეიდისა).

ვ. გუნია ჯერ შეა ხნის კაცია (53 წ.), სულ ტოტა, ოდიოდე წლის სიტოცხლე კიდეკ წინა აქვს. მის მსახიობობას რომ გეკერდი აუქმეიო, მწერდობით კვლავ ბეეგრი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ჩვენი საზოგადოების მოკადეობა, ეო

სახალხო თეატრი 1916 — 1917

ანკარა

რეჟისორი
კ. შათირიშვილი

ელ. ციმაკურიძე

ნ. გოცირიძე

ს. რომანიშვილი

მ. მატარაძე

ვ. ნინიძე

გ. ჯაბაური

გ. გულიკურაშვილი

დ. ბაქრაძე

ა. მეტრეველი

კ. ხახანაშვილი

რ. სალაყაია

სცენარიუსი
ა. ბაქრაძე

გ. ანაშვილი

ს. პეპანოვი

ა იველული

მოკარნახე
მ. თუშმელიშვილი

სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველი დასი

ზემორე ხსენებულ პირთა გარდა დასში ირიცხებიან: ქ-ნნი—ბარათაშვილი ელ., გოდერძი ლ., იანქოშვილი ელ., მჭედლიშვილი ნ., ნარაკიძე თ , რომანიშვილი-დგებუაძისა ს., არჯევანიძე ან., ბაქრაძე თ., სულხანიშვილი დ , გაბუნია ო., ბ-ნი—მამაჯანოვი ბ., მინდიაშვილი ი., მერაბიშვილი ნ.; მარკოზოვი, მჭედლიშვილი, ძალუძე, ჩხეიძე და ხატელაშვილი.

კაზმული გრძნობა

მე არაფერი დამემალება,—
მივენდე გულის პოეტურ ღელვას:
მე ვიცი ვარდის ზიზილა ენა,
მე ვგრძნობ ცის ელვის ელვარე ელვას.
უბედურებაც სწორედ ის არის,
რომ ყველაფერს ვგრძნობ, კარგსა თუ ავსა,
ახ ნეტამც გული არა მქონოდა,
რა ბედნიერად ჩავთვლიდი თავსა..

ი. გრიშაშვილი

ობოლი მხარე

ქვრივ-ობოლივით შავით მოსილი
სამშობლო ჩემი სტირის, ვალალებს,
სევდით და დარდით გულ-ჩათხრობილი
მოს-ქვამს უწყალოდ დაკარგულ შვილებს.
შავი ყორანი დასჩხავის თავსა ..
შავი ყორანი გარს დასტრიალებს..
ვიღა მოუვლის ბედ-უკუღმართსა,
ვიღა შეუშრობს ცრემლიან თვალებს?!,

ქ. ძიძაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბა

(გაგრძელება. იხ „თ. ც.“ № 38)

ნადიდან გულ დაწყვეტილი დაბრუნდა საბა.

ღვინომ გაუღვიძა მგრძნობიარობა. როგორც-კი მოვიდა, ცაცხვის ძირში პირაღმა გაეგდო და თავისი ძმისწული ორი წლის გრამიტონზე მუხლზე დაისვა და, სანამ დედა მისმა არ წაიყვანა, „აჩუ აჩუ“ უძახა.

დიდხანს იწვა საბა.

უფროსმა ძმამ დაუძახა: „ქური გასარეცხი... ერთი კოკით წყალი მოიტანეო..“ მაგრამ საბა აღარა განძრეულა.

მთლად წაიღო ფიქრებმა: ბაბუა ილანძღება, კაი, ბებერია და „ჰაუ, ჰაუს“ იძახის, თუნდაც ქორი არსად იყოს. ქალებს არ მოვწონვარ,—კაი ვერა ვარ ლამაზი, მარა ბიძა ჩემი ჩემთან მუშაობს, საკოცნელათ რავალი ვარ რა მისი საქმეა! და მუშაობას მაინც რატომ არ მიფასებს?!.. დღეს ახლა .. დიდი და პატარა თუთხმეტი სული ვკრეფდით.

.... რა მშვენიერია მარინე!—სხვათაშორის გაუელვა თავში საბას...

ჰო და ხელი არ გამიჩერებია.. ერთს ჩემზე მეტი არ მოუკრეფია და გადმოტანით მარტომ მე გადმოვიტანე მოსავლის ნახევარი. სიდონია ღვდლის შვილია და გოდორის წიკვა არ ეკადრებაო. ფილიპე ხომ სასიძოთ უნდათ და ეფერებიან, ... ოსიკიე მაინც რა წითელი კვერცხია!

— რა მშვენიერია მარინე,—გაუელვა თავში საბას...

ეზოზე გადმოიარა მეზობლის ცუგრუმელა გოგომ.

— გამარჯობა, საბა!

საბამ ერთი ახედა და ზანტათ უპასუხა:

— გაგიმარჯოს!

უყურადღებობით გაკაპასებული ცქმუტურა გოგო შემოუბრუნდა საბას და გოგობიჭებისაგან გამოთქმული ლექსით გაახელა:

ჩემო საბა, შენი თავი
რამ გაზარდა ასე დიდი?!..
ხრიკათ მაინც ივარგებდეს,
ორ შაურათ გავყიდიდი..

— თუ გსტაცე ერთი ხელი, გაწრიპინებ თირინასავით!—შეაშინა საბამ და წამოიწია.

გოგო არ შეკრთა და ენა „გამოუტიტა“. საბა წამოდგა და გამოეკიდა, გოგო გაიქცა, მაგრამ ისე რომ დიდ მანძილზე არ დაუტოვებია საბა... გოგო ტყეში გადახტა. საბამ, თუმცა რაღაც კი იგრძნო, მაგრამ სავსებით ვერ გაიგო ძლაბის ოინები და ღობესთან შეჩერდა.

— როცა იქნება გაკავლებ! .. კიდევ დაექადა საბა და თავის ადგილზე დაბრუნდა.

— ისე ღმერთი უშველის შენ ჩურჩუტ თავს,—მიაძახა გაბრაზებულმა გოგომ და მიიმალა.

საბა მიწვა და თავში გაუელვა:

— რა მშვენიერია მარინე.

ნადიდან დაბრუნებული სალომე იქვე ხის ძირში იდგა, მაგრამ საბამ მაშინვე ვერ შეამჩნია.

— ბიჭო, რაღა დროს შენი გოგოების სდევაა?

— აბა...—შერცხვა საბას.., გამაგულისა, გალახვა მინდოდა, გამექცა.

— ჰო, ჰო ილაპარაკე!.. მასე კი არა, ბიჭო, აწი ცოლ-შვილს უნდა მიეკიდო და ქრისტიანულათ იცხოვრო... რაცხა ბედია სალდათად არ წაგიყვანეს და მეტი რა გინდა?!.

საბა გაჩუმებული იყო. ნათლად წარმოუდგა თვალწინ მარინე და კინაღამ ხმა მაღლა და ძახა:

— რა მშვენიერია მარინე!

— ბიჭო, რატომ პასუხს არ მეუბნები?

— შენ რომ არაფერი გიკითხავს, რა გითხრა?

— არ გინდა ცოლი შეირთო, შვილი გყავდეს?—არ ეშვებოდა ბიცოლა სალომე. საბა შეწითლდა და, როგორც იყო, ამოდენა პირიდან...

— რატომ? ქე მინდა. .

— თუ გინდა და ძაან კაი გოგოს გაგირიგებ...

სალომე შეჩერდა

საბა უცდიდა.

— ნეტავი მარინეს შემრთავდეს,—გაიფიქრა საბამ და ისეთის თხოვნითა და ვედრებით შეხედა სალომეს: მითხარი, ვის მრთავო, რომ თვითონვე შეკრთა და თავი დაღუნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სიბნელეში სალომეს არაფერი დაუნახავს და შეუმჩნევია.

— ახლა ხომ იცი, ჩემო საბა, შენთვის კაი მინდა... მარინეს და თალიკოს შენ არავინ დაგანებებს.,. როგორიც ალხანაო ისეთი ჩალხანაო, ხომ გაგიგონია. არც ქე გამოგადგებიან ისინი...

საბას გულს მოხვდა ბიცოლა სალომეს სიტყვები... მარინეს ასე ადვილად თვალიდან გაქრობა არ უნდოდა; თვითონ იცოდა, მარინეს მისთვის არ მოაცლიდენ, მაგრამ საწყენი იყო ასე გადაჭრით უარის თქმა... ამ აღელვებულ გულზე მაინც უნდოდა საბას თავისი საბედოს სახელი გაეგო

— შენ გინდა კაი მეოჯახე ქალი, ჯანსაღი. ახლად რომ დასახლდებით, მეუღლე ხარივით გვერდში გედგას. ხნავდეს, თესდეს ისე კი არა დღეობაში გამოსამზეურებლათ რომ არიან ზოგიერთები .. შვიდი-რვა თუმანი თუ ექნა სახლს ქე დაგიდგამს და მერე თქვენმა ბედმა და ღმერთმა იცის. .

— შე ძაღლო და მამა—ლო! — მოისმა უეცრათ ხმა საჭურედან, — რომ გითხარი ჭური გარეცხე თქვა, რას შობი მადანე?!

— აბა მეიფიქრე, თედორე გიძახის და მეც ქე, მეჩქარება...

— მოვალ, მოვალ! მიაძახა ძმას საბამ, მერე სალომეს ხელი დაუჭირა და ჰკითხა:

— მაინც ბიცოლა ვის მირჩევ?

— ვის გირჩევ, შვილო, და შენთვის ზედ გამოჭრილია მზეხა...

მთვარემ სახლის თავიდან ყური ამოყო და საბას ფერ-მკრთალმა მნათობმა უნებურათ მარინე გაახსენა.

სალომეს ნათქვამმა სახელმა არაფერი მოაგონა საბას..

სალომე შთაბეჭდილებას უცდიდა.

— მზითვი კაი აქვს, ხორაგსაც მოვაცემიებ .. მოყვრებიც ხომ ღირს ერთ რამეთ... ერთი მჭედელია, მეორეს დუქანი აქვს ხონში.

— ვინ მზეხაა? დაეკითხა ბოლოს საბა.

— ულამაძის, შე კაცო, ნიკიფორე ულამაძის ქალიშვილი.

— ნაბიჭვარი? — გაკვირვებით ჰკითხა საბამ და სალომეს მოდუნებული ხელი შეუშვა.

— ჰე, ჩემო საბა... რამდენს რას იტყვიან, კი არ უნდა დეიჯერო!.. ნახე მისი ბიჭი?

— კი მარა,..

— აბა, დალი აქ დაკრული?...

— ჩემთვის სხვა ვერავინ გამეიმეტე. ბიცოლა? — მწუხარეთ უსაყვედურა საბამ და გაჩუმდა:

— დასახლება თუ გინდა, შვილო, ეს არის... ასი მანეთი ფული, ხორაგი, კაი მოყვრები.. ქალი მზეთ-უნახავი არ არი, მარა არც ქეა დასაწუნი...

— თქვენ რაზე მუსაიფობთ აქანე? — დაცინვით იკითხა საბას უფროსმა ძმამ, რომელიც საჭურედან ნელ-ნელა მოპარვოდა მათ — შენი ტილისთვის ვერ მოგივლია, შე ჩერჩეტო, და ცოლ-შვილი გამომიწყე ახლა? წადი შენი საქმე გააკეთე, თვარა მაქვს სიცოცხლე ზურგი გაგისქელო სახრეთი!.. შენ კი დედაკაცო, რომ წაგიხდა ენა, ნამუსი აღარ გაქ?..

მეტის თქმა სალომემ აღარ აცალა:

— ნამუსი მე კი არა თქვენ არ გაქვთ, თქვე ულმერთოებო ,. მაგის ნამუშევარზე ხართ ყველა მიჩერებული და საწყალს ჭადსაც-კი ამადლით...

ნ. ლორთქიფანიძე

(დასასრული იქნება)

ვინც რომ მიყვარდა..

ვინც რომ დღემდისინ მიყვარდა,
დღესაც ის მიყვარს — ის არი;
მას ვეტრფი, მას ვეხასები, —
ჩემი ღვთაება ის არი.
ის არის ჩემი სიცოცხლე,
დილის მზე ამომავალი:
წმინდა, უმანკო, უხალო,
ეთერის ჩამომავალი.
ნარი ნაალად უგია,
ცა არის მისი საბანი, —
ეს ტანჯულ გლეხის შვილია,
ნაკურთხი ოფლით ნაბანი.
ვერვინ შემიცვლის მაზე გულს,
ვფიცავ ჭეშმარიტ ძალასა;
იმის დამჩაგვრელ-დამთურგვნელს
ყელში გაუყრი დანასა!..

გ. შინატეხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებული

გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 38

დონ ალონ. აგერ ჩვენი დიგო ცამეტ წლისა ხდება, კლარაც თორმეტ წელს არის მიტანებული. ამდამ დიგოს ბარ-მიცვის* დღესასწაულს რო გადაუხდით, ორთავეს გაუმხელთ იმ დიდ საიდუმლოებას: გავაგებინეთ თუ ვინ არიან. დონ-ომანუელმა მითხრა, რაც ხანი ვასწავლი, ვეცადე მათს გულში ჩამენერგნა სიყვარული ჩვენი ერისა და სარწმუნებისადმი და მიზანსაც მივაღწიეო. ახლა უკვე დროა გაიგონ ჩვენმა შვილებმა, რომ ისინი არიან შვილნა მართალ, საბრალო და დენილ ერისა. და ყველა ამას დღეს გაიგებენ.

დონნა-ლაურა. აი, ეგ არის ამ ჟამად გამაშხამებელი ჩემის სიცოცხლისა. ჩვენი შვილები ჯერეთ პატარები არიან ჩვენსავით—დიდებსავით გაფრთხილება არ ძალუძთ. ყველა უბრალო, მეტ და წარმოქცდარ სიტყვას შეუძლიან თავს დაგვატეხოს დიდი და საშინელი უბედურება.

დონ ალონ. უნდა უთხრათ, რომ ძალიან ფრთხილად იყვნენ.

ლონნა-ლაურა. ნუ თუ იმათთანა პატარა ბავშვებს შეგვიძლიან მოვთხოვოთ, თავიანთ უბედურ მდგომარეობას მიხვდენ?

დონ ალონ. აგრე არ გახლავს. ებრაელი ბავშვები უფრო ქკვიანი უნდა იყვნენ ! ხვა ბავშვებს; იმათ უფრო კარგად უნდა შეიგნონ ყველა საქმე, ვიდრე სხვა ბავშვებმა. კარგად ავუხსნათ თავიანთი მდგომარეობა და ის ფათერაკი, რომელიც მათ თავს დასტრიალებს, და მაშინ მიხვდებიან, რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო.

დონნა-ლაურა. მაგრამ, შეუძლიანთ-კი თავის დაჭერა ისე, რომ არასფერი წამოსცდეთ?

დონ ალონ. ებრაელ ბავშვებს შეუძლიანთ ასარულონ იმასთანა საქმეც, რის აღსრულებაც სხვა ბავშვებს არ ძალუძთ! შენ კი ჩემო მეუღლე, დამშვიდდი და არხეინად იყავი, ვესავოთ უფალს და ის დაგვიცავს ჩვენ. იმედი მაქვს, მალე გავიცლებით ამ ქვეყანას და მაშინ აღარაფრის ჯავრი არ გვექნება. (დადის წინ და უკან, ფიქრებში გართუდი. პაუზა).

დონნა-ლაურა. (ფოტოხანს მდუმარეთ ზის. ნელის ხმით). ალონსო.

დონნა ალონ. რა გნებავს, ლაურა?

დონნა ლაურა (ვედრების ხმით) გამიგონე, ჩემო ძვირფასო! იქნებ უფრო სამჯობინო იყოს, რომ არ გაუმხილოთ ჩვენი საიდუმლო ჩვენს შვილებს, ვიდრე მოვახერხებდეთ ამ ქვეყნიდან გარიდებასა და თავისუფალ ქვეყანაში მისვლას. გეკვედრები, ჩემო ძვირფასო, ალონსო, ამა დაუფიქრდი ჩემ სიტყვებს და დარწმუნდები, რომ მართალს ვამბობ.

დონ ალონ. (სდგას დაფრაზ ბირდაბირ და შეკვეთურებს, ფიქრებში გართუდი, ხან-მოკლე დუმილით. ბოლოს ბრძვის თავის თავს. შემდეგ უუბნება მოწყვეტით) არა! არა! ამალამ უნდა გიგონ, თუ ვინ არიან და რანი არიან ისინი!

დონნა ლაურა. ახლა? ამისთანა დროს? როდესაც ინკვიზიცია თვალს ადევნებს და სდარაჯობს კაცს ყველა ფეხის გადადგმაზე?

დონ ალონ. კიდეც მაგიტომ, რომ ინკვიზიცია !დარაჯობს კაცს ყველა ფეხის გადადგმაზე. სხვა დროს იქნებ დაგთანხმებოდი და ავალად გაუმხელავი დამეტოვებინა ჩვენი საიდუმლო იმათთვის. მაგრამ ახლა, ამნაირ უბედურ დროს— არა! ჩვენ ყოველ ჟამს მოგველ.ს ინკვიზიციის წევრთა ხელში ჩავარდნა. მაშინ რა იქნება შედეგი ჩვენი შვილებისა, კათოლიკეთა მღვდელებს რომ ჩაუარდეს ხელში?— მაშინ ხომ ჩვენ შვილებსაც გარდაჭქმნიან მღვდელებათ და მიუმატებენ ჩვენს მტერ— მდევნელებს! აი, ამიტომაც მსურს გაიგონ შვილებმა, გაიგონ, რომ ისინი არიან ებრაელნი, და მათი ვალია დაშთენ ებრაელებად, ვიდრე უკანასკნელი წვეთი სისხლი ღვდგიან. გაიგონ ყველა ეს, და მაშინ ეცოდინებათ, რა მიღებენ ინკვიზიციის მღვდ-

---

*) **ბარ-მიცვა**—ებრაულად ნიშნ ვს, „მცნების შვილს“. ებრაელთა წესით, როდესაც ბავშვი ცამეტის წლისა შესრულდება, მაშინ ეწოდება სრული წლოვანი; მოვალეა ასარულოს ყველა სარწმუნებრივი ადათ-ჩვეულებანი. ამ დღიდან ლოცვის დროს იხმარებს „ფილაქტებს“. ამ დღეს თვითონ ყმაწვილი და მშობლებიც **დღესასწაულობენ.** მთარგ.

ლებს როს ეს უკანასკნელნი მოისურვებენ იმით შეცდენას: მამა-პაპათ ასარწმუნოებიდან გადაბირებას.

დონნა ლაურა (შეძრწუნდება) დაიფაროს ღმერთმა ისინი მაგ შემთხვევისგან.

დონ ალონ. ნეტავი აგრე! (ხან-მოგდგ დუმილია. ადგნსო დადის წინ და უკან, უცებ შესდგება დაბადების კიდობნის წინ, ხელებს ადაბურობს და ვედრებით წარმოსთქვამს) ოჰ, ღმერთო დიდებულო, როდემდის უნდა აგვარიდო მხედველობა შენი? როდემდის, როდემდის?

დონ ლაურა (დრმად ამოიოხრებს. დუმილი)

დონ ალონ მე მივდივარ, ნადიმისათვის უნდა მოვემზადო. აი, უკვე თერთმეტი საათია. თორმეტ საათზე, როს მოელი ქალაქი ღრმა ძილში იქნება მაფლული, აქ შეიკრიბებიან ყველა ჩვენი მახლობელნი და ჩვენი შვილის ბარ-მიცვაზე შესწრობას ვიდღესასწაულებთ. შენც მზად იყავი. (მიდის კიბეზე. მსდგდ ერთ წუთს მოუბრუნდება ტოდს). გთხოვ, გული დაიმშვიდო, ჩემო ს უნჯვე, იმედი გქონდეს უფლისა და ესავი მას. (მიდის კიბეზე, ადგს კარს, რომელიც ჭერშია ამოდებული). როცა გამოხვიდე, კარების კარგად ჩაკეტვა არ დაგავიწყდეს. (კიდის)

დონნა ლაურა. (დრმად ამოიოხრებს და ზის თავის ადგილზე გაუნძრეველად. სხეულ დრმა ნადგეული ეტუობა. წუნარად სდგება და მიდის დაბადების კიდობანთან. სხეს კაცხეგეს ფარდაში, რომელიც კიდობანს აფარია, და რაგდენიმე წუთს გაუნძრეველად სდგას. როცა ადგს თავს, დაწყებულ ტრამდები უჩანს, მისუსტებული, ვედრების ხმით დაბადების წინ). უფალო! ღმერთო! ნუ მიგვატოვებ! (კიდის ნადგდიან ფიქრებში გართული და ავიწყდება კარის დაკეტვა, რომელიც ჭერშია)

II

დიეგო, კლარა და **ენრიკო**.

(სცენა ცოტა ხანს ცარიელია. შემდეგ გამოქვაბულის ზევითა ოთახში მოისმის ჩქარი ფეხის ხმა და უცებ შესწყდება. ცოტაც და კიბის ზევითა საფეხურებზე, რომელიც გამოქვაბულშია ჩამოდგმული, გამოჩნდება პატარა ქალი კლარა, რომელიც მოდის ნელა საფეხურებზე და გაოცებით იყურება ირგვლივ. შუა კიბესთან რო მოატანს, შესდგება და იყურება საოცრების გამომეტყველი თვალებით და შიშით. ერთ წუთს სდგას ასეგანუძრეველად, შემდეგ გამოერკვევა და გაგშურება ზევით ოთახისკენ. ზევით ოთახიდამ მოისმის იმისი ხმა რამდენიმეჯერ: "დიეგო! მოდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილის მოლოდინში.

ზამთრის დღე იყო, მაგრამ როგორც ხშირად იცის ქ. თბილისში, ბუნება რაღაც მომხიბლავ ელფერით იყო აჭრელებული. აღმოსავლეთის ტატნობზე საამურად მოგოგმანობდა ცხოველმყოფელი მზე და უხვად აფრქვევდა უმანკო სხივებს.

ქალაქის საავადმყოფოს შუშაბანდიან დერეფანში მრავალი ავადმყოფი გამოსულიყო და ფუტკრებივით ირეოდენ: ზოგ მათგანს თავი ჰქონდა შეხვეული, ზოგს მკლავი, ზოგი ოჩაფეხით დადიოდა, ზოგი კოჭლობდა

საავადმყოფოს ერთ-ერთ განყოფილებიდან ქართული სიმღერა ისმოდა: წყნარი, ზარივით წკრიალა, ცოცხალი ხმებით შეხმატკბილებელი, მთელ საავადმყოფოს ატკბობდა. უცებ გამიელვა: „აქ ქართველები ყოფილა-მეთქი“ და გული სიამოვნებით ამევსო. გამიხარდა იმიტომ, რომ ეგ მამაცი მეომრები, ბრძოლის ქარ-ცეცხლში გამოვლილნი სულით არ დაცემულიყვნენ, დაჭრილ-დაკოდილნი კიდევ მხიარულობდენ, ტკბილი სიმღერით ერთობოდენ, ერთი-მეორეს ამხნევებდენ. გამიხარდა! ქართველი უშიშარია, გულადი, მამაცი, მტერი ადვილად ვერ დასძლევს, ვერ დააძაბუნებს. აი, სად არის სამშობლოს ხსნა, გამიელვა გულში და წახალისებული შევედ საოპერაციო განყოფილებაში.

საოპერაციო ოთახი სუფთად იყო მორთული. წინა კედლიდან ორ დიდ ფანჯარაში საკმაო სინათლე შემოდიოდა. ფანჯრების ტახტაზე ეწყო ზეწრები, დაჭრილთა ჭრილობების შესახვევი ბინდები და რამდენიმე ცალი თეთრი ხალათი. მარცხნივ კუთხეში შკაფი იდგა წამლებით. მის წინ ოთხ-კუთხიანი მაგიდა საოპერაციო იარაღებით, მარჯვნივ—მარმარილოს პირსაბანი, შუა ოთახში თეთრად გაწამლული განგებ ამაღლებული ფიცრის ტახტი, ერთის მხრივ პატარა ყურის ბალიშით. ოთახში იყო ორი ექიმი, ერთი ფერშალი ქალი და ორიც მოწყალების და,— ყველანი თეთრ ხალათებში. პირველი ექიმი, რომელიც საოპერაციოდ ემზადებოდა, პირსაბანს მისდგომოდა და ხელს იბანდა, მეორე პაპიროსს ეწეოდა და პაპიროსის წევაში ხან ერთს დას ეოხუნჯებოდა, ხან მეორეს. ფერშალი ქალი მაგიდაზე საოპერაციო იარაღებს არჩევდა, მოხერხებულ ალაგს აწყობდა.

პირველმა ექიმმა, თითქმის ხუთმეტი წუთი იბანა ხელები საპნითა და ჩოთქით. ხელების ბანას რო მორჩა, დაბანილ ხელებზე, სპირტი გადივლო, რეზინის გამსჭვირვალე ხელთათმანები ჩამოიცვა და ბრძანების კილოთი დაიძახა:

НУ, госпада, я гоотовъ. შემოიყვანეთ ავადმყოფი.

ივ ფურცხვანიძე

წერილები მეგობართან

ქართველ მუსულმანების შესახებ

ეს იყო შვიდი წლის წინ... არ მახსოვს არც სახელი და არც გვარი იმ მოხუცი ქართველი მუსულმანისა, რომელიც ჩემთან სტუმრად მოიყვანა ნაცნობმა ხოჯამ. ზემო აჭარიდამ იყო.. ტკბილ წმინდა ქართულ ენით ლაპარაკობდა. მის საუბარში ისმოდა ისეთი სიტყვები, რომელნიც „ვეფხის ტყაოსანს“ და სახარებაში გვხვდება. მეგონა, თუ მეთორმეტე საუკუნის ქართველი გაცოცხლებულა და მესაუბრება... ასეთივე შთაბეჭდილება მიიღო ჩემმა მეუღლემ, რომელიც მეორე ოთახში იყო და საქმობდა.

მოსაუბრე სამოცდათხუთმეტი წლის კაცი იყო, დარბაისელი, სწორედ ისეთი, როგორიც ისტორიის გადმოცემით **მესხი** (ქართველი ტომი) იყო. მოხუცი ნაღვლიანი მესაუბრებოდა. ძლიერ სწყინდა, რომ აჭარა სწავლა ცოდნით დაბეჩავებულია, რომ იქ სკოლები არაა, რომ იქაურ „ბალნებს“ გურჯულ (ქართულ) წიგნს არ ასწავლიან... მე ჯერ კიდევ მაშინ დავრწმუნდი, რომ ქართველ მუსულმანთა უმრავლესობას უკვე შეგნებული აქვს სწავლა-ცოდნის საჭიროება. ..

ეს შეგნება ქართველ მუსულმანთა საუკეთესო მერმისის წინდია აქა-იქ შეუგნებელი ხოჯები კიდევ უშლიან ხალხს სკოლაში ბალღების გზავნას. მაგრამ როდემდის? მოვა დრო, და ხალხი თვით გაარჩევს ავსა და კარგსა. განა ცოტაა ნასწავლი მუსულმანი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა მუსულმანთა სკოლის სწავლის წიწაალმდეგიან?! არა და არა! ხოჯათა უმრავლესობა სკოლისა და სწავლის მომხრეა, ამათ ღრმათ ესმით თავისი სკოლა... მახსოვს მოხუცი ზემო აჭარლის სიტყვები: „უბედურები ვართ, რომ წიგნი არ ვიცითო“ ანუ კიდევ: „გვიბერხეთ რამე, და სკოლა გაგვიხსნითო“...

მაგრამ ეს შვიდი წლის წინათ იყო. ბაშინ ქართული სკოლის შესახებ ხმას ვინ ამოიღებდა?! ყოველ ქართველს პირში ბუტი ჰქონდა ჩაჩარული. ჭინკა ხევში (ართვინის ახლოს) ქართულ სკოლის გახსნის ნება არ მისცეს. ქობულეთის სასწავლებელში ქართულ ენის სწავლების ნებართვას ვერ ეღირსნენ. „თქვენ ქართველები კი არა, თათრები ხართო“ უთხრა დირექტორმა ქობულეთელ ქართველ მაჰმადიანთა რწმენებულებს... მაგრამ დრო შეიცვალა...

ნუ თუ კიდევ მობრუნდება ის შავბნელი დრო?!.. შენი **ჩაქუჩი**

წვრილი ამბები

◆ არა საკადრისი საძღვილი ჩაუდენია ბ-ნ ალმ. კალანდაძეს, როგორც გაზ. „სამშობლო“ (№ 441) სწერს: ბ ალ. კალანდაძე ხსნებულ გაზეთის კორესპონდენტს ბ. მუშლაძეს მიჰპარვია და ჯოხით გაულახავს (რამდენჯერმე დაურტყავს) გაზეთში წერილის მოთავსების გამო. ამ ამბით აღშფოთებულნი, ჩვენ სრულს თანაგრძნობას ვუცხადებთ კალმის ბეჯით მუშაკს გ. მუშლაძეს და ვუსურვებთ, კვლავ მხნედ განაგრძოს მუშაობა.

◆ სწავლული ძალი შეემატა სწავლულთა ოჯახს. ეს არის ნიკო ნიკოლაძის უმცროსი ასული თამარი, რომელიც ჰეტროგრადის ქალთა ინსტიტუტში დასტოვეს ფიზიოლოგიის კათედრაზე ასისტენტად (ლაბორანტად). მისი მეორე და რუსუდანიც ამავე ინსტიტუტშია. ლაბორანტად ქიმიის კათედრაზე.

◆ ოლივერ უოლდრუმეა, „ეკუფის ტყოსანის“ და სხვა წიგნთ ინგლისურად გადამთარგმნელის მწერალი ქალის მარჯორი უორდროპის ძმამ 100 მან. გამოუგზავნია ქ. შ. წ. გ. საზ-ის იგი არჩეულ იქმნა საპატიო წევრად.

◆ ს. ნ. ვორონოვის სასცენო სტუდიაში ოცამდე ქალ-ვაჟი ჩაეწერა,—სომხები და ქართველები

◆ ალ. ნათაძის სულის მოსახსენებლად კვირას, ენკენისთვის 8 ქართულ გიმნაზიაში პანაშვიდი გადახდებულ.

◆ სახალხო თეატრში სეზონი დაიწყო ენკენისთვის 15 „იმედის დალუპვა“თი. ენკენისთვის 19 წარმოდგენილ იქმნა „გამცები“. დამსწრეთა ზორის წესიერება ირღვევოდა. საჭიროა ხალხმა თვითონვე დაიცვა წეს-რიგი.

◆ ძარ. დრამ საზოგადოებამ დაამთავრა მოლაპარაკება ქართველ მსახიობთა ამხანაგობასთან და ღვინობისთვის 1-დან დაიწყება სეზონი. დასში ჩაირიცხნენ: ქქ-ნი ნ. დვითაშვილი, ტ. აბაშიძე, ნ. ჯავახიშვილი, ა. ქიქოძე, ქილარჯიშვილი, ა. შოთაძე; ბბ-ნი ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გ. იმნელი, ი. ზარდალიშვილი, ნ. გვარაძე, გ. ფრონინპირელი, ნ. ციციშვილი. გ. სარაფული, ნ. ჩაგუნავა და ი თარალეშვილი. რეჟისორად მიწვეულია ალ. ფუფუნავა. ამხ ნაგობის წარმომადგენელად დასმა აირჩია ი. ზარდალიშვილი. დრო-გამოშვებით მიწვეული იქმნებიან: ქ-ნი ე. ჩერქეზიშვილი და ბბ-ნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანიშვილი და დ. მგალობლიშვილი.

◆ ქუთაისის დრამ. საზ-ის გამგეობამ ენკენისთვის 13 კრებაზე დაადგინა: 1) სამხედრო გადასახადის გამო შესასვლელ ბილეთებს ფასი მოემატოს; 2) ბენეფისი მიეცეს ეფ. მესხს, ნ. ჩხეიძესა და ალ. იმედაშვილს; 3) რეჟისორებად მიწვეულ იქმნენ აკაკი ფალავა და ალ. იმედაშვილი.

◆ ქუთაისის თეატრში სეზონი დაიწყეს **ნ.** შიუკაშვილის „მთის ზღაპარით“.

— ვალ ბუნიას მკურნალობა თავს იდვა გო. მართველმა. ექიმ ყველ დღე დილ საღამოობი დაირება ავადმყოფთან.

ბელეტრისტმა ვ. ბარნოვმა დასწერა მოთხრობა „ფეხი იბრუნა“ (დაიბეჭდება გაზ. „საქართველო“ში).

◆ წერილი „ციდვ ეროი ძვა“, საერობო თათბირის შესახებ, ამ ნომერში ვეღარ მოთავსდა.

◆ ახალი სტამბა გაუღია ალ. დიმ. არაბიძეს პეტროგრადში, სტამბაში ქართული შრიფტიც იქნება და ქართული წიგნებიც დაიბეჭდება.

◆ პეტროგრადის ქართველობა აპირებს კვირეული ჟურნალის გამოცემას რუსულ ენაზე. ჟურნალის მიზანი იქნება გაარკვიოს საქართველოს საპირბოროტო კითხვები.

◆ მივიღეთ ახალი წიგნაკი ქართული საეკლესიო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია ოთხვნე პეტერბურის თარგმნის მიხედვით“, 48 გვ. ფ. 30 კ.

◆ ღლს აკურთხებენ ქართ. ქალთა საოსტატო სეენარიას,—ხვალიდან წავლას დაიწყებენ.

◆ ს. ლ. ჯილაური, ქართულ საქველ.-მოქ. ს-ზ-ის აპარის ოსეთის მასწავლებელი—ჩეინკალი, გარდაიცვალა. სამაგალითო მასწავლებლად ითვლებოდა. იგი ს. პატარძეულელი (გარე-ეანელი.) იყო, გლეხთაგან, პირველ სათათბიროს საგუბერნიო ამომრჩეველად არჩეული. ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო, სულ 35 წ. დარხა წერილი ცოლშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ **თბ. გუბ. თავ.-აზნ. დეპუტატთა საკრებულომ** ენკენისთვის 20 4000 მან. გაუნაწილა ქარ. კულტურულ დაწესებულებათ.

◆ **მგოსანი გალ. ტაბიძე** რუსეთს აპირებს წასვლას უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად.

◆ **ხაშურში** ენკენისთვის 8 ელო ანდრონიკაშვილისა და შ. დადიანის მონაწილეობით ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა „სამშობლო“, დ. ერისთავისა. აუარებელი ხალხი დასწრო.

◆ **საძ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ნის** არსებობის ცხრა წლის თავზე წლიური კრება გაიმართა ენკენისთვის 20 სასოფ.-სამეურ. საზ-ის ბანაში ექ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. 1) ექ. თაყაიშვილმა წაიკითხა თავისი საუკნოვო მოხსენება რაჭა-ლეჩხურ-სვანეთში მოგზაურობის შესახებ; 2) კრებამ ანგარიშები ერთხმად დაამტკიცა; 3) ფრესკების გადაღებისთვის კრებამ თანხა გაუძლიერა; 4) არჩეულ იქმნა კომისია აკაკის სამარის სამზრუნველოდ; 5) საზოგადოებამ მადლობა გამოუცხადა ძველ გამგეობას ნაყოფიერ მუშობისთვის და იგინივე აირჩია ერთხმად (მბ ოლოდ გამოკლებულ ორ წევრის ნაცვლად აირჩია ოს. გოგოლაშვილი და გერ. ქიქოძე) და 6) ექ. თაყაიშვილმა დამსწრენი მიიწვია ტრადიციულ სერობაზე—ახალ [illegible]ში.

კონსერვატორიის
პროგრ. ვამზადებ **სპრიპკაზე**
ილია ქურხული მი-
ასა-
მართი წერილით: Орхевскій пер. д. 7

სამუსიკოსკოლა ტფ. ქარ.
ფილ. საზ. **მოწაფეთა მიღება დაიწყო 26 აგვ.** 10—2ს.-მდე დღისით და 5—7 ს.-მდე საღამოთი სკოლის კანტორაში. სლეპკოვის ქუჩა, ზელინკაკის № 4. მასწავლებელთა სია: ფორტეპიანოს კლასი: ე. დ. აბელოვა ს. ა, მ. გ. ანდრონიკოვ-ციციანოვისა. ნ. ვ. ბაკაშენკო ისა. ე. გ. ქიქოძე, ე. ი. მადატოვა-პოლტარაცკისა, ე. ვ ფოგელისა, ვიოლონი: მ ტ. ვასილევი, ჰ. ა. ტიზენგაუზი, ვიოლონჩელი: გ. კაპელიაცკი-კონტრაბასი: ბ. ბ ნსკი, სიმღერა: მ. ა. კოლოტოვისა, თეორიის კლასები: ზ. ბ. ფალიაშვილი; ზორა: ზ. ი. იკვაძე; ახლად მოწვეულნი არიან ვიოლონსა: სიმჩარატორო თეატრის სოლისტი მ. ა. ვოროფ-იზრაილი ხა ფოტეპიანოს მასწავლებელი პეტროგრადის კონსერვატორია დამთავრებული პროფეს. მედემის კლასი დ თავისუფალი ხელოვანი ვ. ვ. ანენკოვისა.
სწავლის ფასი ფორტეპ., ვ ოლონი და ვიოლონჩელის კლასებში—80 მ., წელიწადში, მ. ა. ვოროფ-იზრაილი კლასში 100 მ., კონტრაბასი—50 მ., სიმღერა—100 მ., თეორიის კლასებში—25 მ. სწავლის ფასი გადახდებათ ნახევარი წლობით წინდაწინ. სწავლა დაიწყება 20 სექტემბერს.

ახალი კლუბი 1 ქვირის პროგ 25 - 30 ერ.
ოკრაბბათი— რუსული ოპერეტა
სამშაბათი — სიმფონიური კონც.
ოთხშაბ. სინემატოგრაფი.
ხუთშაბ.—ქართ. წარმ. (უფას); საზეიმო
პარასკ.—სინემატოგრაფი; მუსიკა
შაბ. — სიმფონიური კონ.
კვირა - მუსიკა; სინემატ.
დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 [illegible]
წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ სა
სშუასაღამოს ფასი ჩვეულებრივია, მხოლო. სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1.05 კ.

ხარფუხის საზო-
გადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 131)
ერთი კვირის პროგრამა 25—ენკ.—30 ენკ.
კვირა —რუსული წარმოდგენა კაბარე
ოთხშაბათი —სიმფონური წარმოდგენა
სამშაბათი —სინემატოგ. სიმღ. ორკ.
ოთხშაბათი —ქართული წარმოდგენა; ბაღში სამხედრო— მუსიკა
ხუთშაბათი —კონცერტი.
პარასკევი—სინემატოგრაფი, სიმღ. ორკეს.
შაბათი—ქართული წარმოდგენა.
კვირა -რუსული ოპერეტა.

წარმოდგენა-კონცერტებზე შესვლა უფასოა

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

Дозволено Военной Цензурой **სტამბა „სორაპანი“**